

ბავშვთა ფსიქოანალიზის როლი თანამედროვე საზოგადოებაში

ბავშვთა ფსიქოანალიზი საფუძველს ფროიდის ნაშრომებში ჰპოვებს, რომელიც შემდგომში ობიექტთა ურთიერთობის და მიჯაჭვულობის თეორიით განვითარდა. იგი დღესაც გვთავაზობს თანამედროვე საზოგადოებაში ბავშვის ემოციური განვითარების, კოგნიციის, ქცევის და ფსიქიკური ჯანმრთელობის სიღრმისეულ ინტერპრეტაციას. იგი ხაზს უსვამს არაცნობიერი პროცესების და ადრეული ურთიერთობების მნიშვნელობას. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების, ოჯახური სტრუქტურის ცვლილების, ტრავმული გამოცდილებების ზრდის ეპოქაში, ფსიქოანალიტიკური ხედვა ღრმა ანალიზის საშუალებას გვამძლევს, რათა გავიგოთ, თუ როგორ ხდება ბავშვის მიერ რეალობის გაშინაგნება. გარდა კლინიკურისა ის ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო და სოციალური გამოცდილებებისთვის. ბავშვთა ფსიქოანალიზი წარმოადგენს არა წარსულის რელიკვიას, არამედ 21-ე საუკუნეშიც ინარჩუნებს მნიშვნელობას, რომელსაც შეუძლია ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე დებატებში მნიშვნელოვანი წვლილი და განვითარება შეიტანოს.

ბავშვთა ფსიქოანალიზი მარტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი დაშვებით იწყება-ბავშვებს მდიდარი შინაგანი სამყარო აქვთ მანამდე, სანამ ისინი ამას ვერბალურად გამოხატავენ. მათი შიშები, სურვილები, კონფლიქტები, ურთიერთობის პატერნები მხოლოდ ენის, მეტყველების მეშვეობით არ გამოიხატება, არამედ თამაშით, ქცევით, სხეულებრივი მდგომარეობებით და ურთიერთობებით.

აღმზრდელთან ადრეული ურთიერთობების მეშვეობით ბავშვში ყალიბდება-

-უსაფრთხოების და საფრთხის განცდა

-ემოციების რეგულაციის უნარი

-იდენტობა

მიჯაჭვულობა არ არის მხოლოდ ქცევის სისტემა, ის ბავშვში ინტერნალიზდება როგორც ფსიქიკური სტრუქტურა, ბავშვი, რომელსაც გამოცდილი აქვს ემოციურად ახლო, სტაბილური ურთიერთობები და ზრუნვა, სანდობის განცდა უვითარდება, ხოლო ბავშვი, რომელსაც ტრავმული გამოცდილება, ემოციური მიუწვდომლობა, არასტაბილური ზრუნვა აქვს გამოცდილი, შეძსალოა გაიშინაგნოს შფოთვა, ფრაგმენტაცია.

რა არის ფუნდამენტური ჩარჩო ბავშვთან ფსიქოანალიტიკური მუშაობისას?

განვიხილოთ რამოდენიმე ფაქტორი

1. გონების დინამიკური მოდელი- არაცნობიერი ძალა (unconscious power) ფორმას აძლევს ჩვენს ცნობიერებას და ფსიქიკურ რეალობას.
2. განვითარების პერსპექტივა, რომელიც ინდივიდუალურ განვითარებას განიხილავს ოჯახის ურთიერთობების კონტექსტში, რომლის ფუნქციაა იზრუნოს და აღზარდოს ბავშვი, სანამ ის დამოკიდებულია მშობლებზე, ინფანტილური სექსუალობის როლი განვითარების ტრაექტორიაზე.
3. ურთიერთობების შექმნა „შინაგანი სამყაროს შიგნით „ როგორც ადრეული ურთიერთობების შედეგი, რომელსაც ფორმა ეძლევა სურვილებისა და ფანტაზიების ურთიერთობების დროს. ეს შინაგანი ურთიერთობები შემდეგ ისწრაფვიან აქტუალიზაციისკენ, როგორც გარე სამყაროში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე კლინიკურ სიტუაციაში, ტრანსფერის სახით.
4. ფსიქოანალიტიკური კლინიკური მოდელის ფარგლებში ანალიტიკურ ურთიერთობებს წამყვანი როლი ენიჭება. ანალიტიკური სცენა, სიტუაცია, ხელს უწყობს ადამიანის მიერ წარსულში განცდილი სურვილების, შფოთვების, განმკლავების სტრატეგიების და ურთიერთობის სტილის გამოვლინებას ტრანსფერში. კლინიცისტების მიერ მათი სუბიექტურობის და ტრანსფერულ, კონტრტრანსფერული პასუხების გაცნობიერებას, გააზრებას, ფუნდამენტური როლი ენიჭება თერაპილ მოქმედებებში.

ყველაზე ხშირად დასმული კითხვები ბავშვთა ფსიქონალიზის დროს

- ეჭვი, რომ ბავშვებს ნამდვილად სჭირდებათ ფსიქონალიზი.

ხომ მაინც გაიზრდება და გაუვლის?

ხომ მაინც მშობლების ბრალია ყველაფერი და რა აზრი აქვს ბავშვთან ფსიქონალიზს?

- რატომ შეუძლება ბავშვს დასჭირდეს ფსიქონალიზი?
- როგორ ტარდება ფსიქონალიზი?
- ბავშვებიც ტახტზე წვებიან?
- ანალიტიკოსი რას ამბობს, ან აკეთებს?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად დავფიქრდეთ,

- რატომ მიმართვენ ადამიანები ფსიქონალიზს? ძირითადად იმის გამო, რომ შინაგანად რაღაც აწუხებთ, და ეძებენ პასუხებს და გეგმებას, თუ რა ხდება მათ თავს.
- რა აიძულებს ბავშვს მოვიდეს ფსიქონალიზში? როგორც წესი, ბავშვები თვითონ არ მოდიან, ისინი მოჰყავთ მშობლებს, ან ამისამართებენ მასწავლებლები, რადგან შეწუხებულები არიან მათით.
- ფსიქიკური ტკივილის განცდა ბავშვში არც ისე ნათელია, ამიტომ ხშირად ბავშვი ხდება სხვა ადამიანის ტანჯვის წყარო -მშობლის, ან მასწავლებლის. სულ მცირე მშობელს უნდა შეეძლოს ბავშვის ტკივილის ამოცნობა.
- უკეთეს შემთხვევაში, ბავშვი მოხვდება ფსიქონალიტიკოსთან და მიიღებს შესაბამის დახმარებას.
- როგორ აჩვენებენ ბავშვები საკუთარ ფსიქიკურ ტკივილს? იშვიათად, რომ ბავშვმა შეძლოს ამის პირდაპირ ვერბალიზება, მაგრამ უფრო ხშირად ისინი ამას აჩვენებენ სხვადასხვა გზებით, რომ რაღაც წესრიგში არ არის მათ განცდებში.

- ფსიქიკური ტკივილის ინდიკატორები დაკავშირებული ბავშვის ასაკთან, განვითარების საფეხურთან. მცირეწლოვან ბავშვებში ეს შესაძლოა იყოს მწვავე და ხანგრძლივი ქცევითი სიმპტომები, როგორცაა ტანტრუმები, ტუალეტის ჩვევები, კვების საკითხები, შიშები და ფობიები, ურთიერთობის საკითხები, როგორცაა სხვებთან ვერ შეგუება, დამეგობრების უუნარობა, გადაჭარბებული სიმორცხვე, სიბრაზის შეტევები, დათრგუნულობა, აგრესია, ძალადობა, კრეატიულად თამაშის უუნარობა.
- ყველა ეს მახასიათებელი შესაძლოა წარმოდგენილ იქნას ადრეულ სასკოლო ასაკში,
- მოზარდობაში ეს წაროდგენილია, როგორც ძლიერი შფოთვა, დეპრესია, თვითდაზიანება, კვებითი აშლილობები, იზოლაცია, თანატოლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბების უუნარობა, დაბალი თვითშეფასება, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებსაც ემოციური საფუძველი აქვს.

როგორია ბავშვთა ფსიქოანალიზის ისტორია?

ფსიქოანალიტიკური მუშაობა ბავშვებთან ფროიდიდან იწყება, მას პირისპირ არასოდეს უმუშავია ბავშვებთან, თუმცა სჯეროდა, რომ ბავშვებს მდიდარი ფანტაზიის სამყარო აქვთ, რაც გავლენას ახდენს არა მხოლოდ მათ აწმყო ცხოვრებაზე, არამედ მომავალზეც. ცნობილია ფროიდის პატარა ჰანსის, 5 წლის ბიჭის, ფობიის შემთხვევის ანალიზი, რომელსაც ფროიდი მამის მეშვეობით მკურნალობდა.

ჰერმინე ჰუგ -ჰელმუტს შესაძლოა ბავშვთა პირველი ფსიქოანალიტიკოსი ვუწოდოთ.

1913 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „ბავშვის ფსიქიკური ცხოვრება_ფსიქოანალიტიკური სწავლება. მან ხაზი გაუსვა ბავშვზე დაკვირდების მნიშვნელობას და თამაში ბავშვის ემოციურ და კოგნიტურ განვითარებას დაუკავშირა.

მელანი კლაინი დაინტერესებული იყო ჩვილის შინაგანი სამყაროს ადრეული განვითარების საკითხებით, მის იდეებს მიშვნელოვანი ადგილი უკავიადრეული ცხოვრების გაგებასა და კლინიკურ პრაქტიკაში.

მან გონების კონცეპტუალიზაცია მოახდინა, როგორც სივრცე, რომელიც მოცულია არაცნობიერი ფანტაზიებითა და „შინაგანი ობიექტებით, რომლებიც მომდინარეობს მძლავრი შინაგანი კონფლიქტიდან სიყვარულსა და სიმუღვილს შორის. ეს მოდელი საშუალებას აძლევს კლინიკისტს შეირძნოს ბავშვის არაცნობიერი ტანჯვა და გამოავლინოს ის ცნობიერ ურთიერთობაში რეალურ სამყაროსთან.

მან განავითარა “თამაშის ტექნიკა“ ბავშვებთან ანალიტიკურ მუშაობაში, სადაც ბავშვის თამაში, როგორც შინაგანი სამყაროს გამოხატულება და ამგვარად თავისუფალი ასოციაციების ექვივალენტად განიხილება. ეს თეორიული გამოკვლევა ასევე საფუძვლად უდევს ძალიან პატარა ბავშვების ფსიქოანალიტიკურ მკურნალობას.

მელანი კლაინი იყენებდა სათამაშოებს, ადამიანების ფიგურებს, ცხოველებს, გარეულს და შინაურს, გარეული ცხოველების საშუალებით ბავშვს შეუძლია გამოხატოს მათი ველური ფანტაზიები და სურვილები.

მან წარმოგვიდგინა და განავითარა პარანოიდულ-შიზოიდური და დეპრესიული პოიციები.

ანა ფროიდი, როლემიც იყო ფროიდის უმცროსი ქალიშვილი, ის მუშაობდა, როგორც მასწავლებელი ვენაში, სანამ ფროიდის ოჯახი არ გადასახლდებოდა ბრიტანეთში 1938 წელს. ანა ფროიდი ბავშვებს უკვე ფსიქოანალიტიკური მიდგომით ასწავლიდა და ლონდონში მან დააარსა ჰემფსთრიდის ომის ბაღები, სადაც ომში წასულთა შვილები რჩებოდნენ. აქ მომუშავე პერსონალი არა მხოლოდ ზრუნავდა, არამედ განავითარეს შეხედულება ადრეულ განვითარებაზე, სეპატაციასა და ტრავმის გავლენაზე. ანა ფროიდი ვარაუდობდა, რომ მხოლოდ ნორმალური განვითარების გაგება მოგვცემს საშუალებას პათოლოგია, ან დევიაცია ამ ნორმიდან შევისწავლოთ.

ომის შემდეგ დააარსდა ჰემფსთრიდის კლინიკა, სადაც კლინიკისტები ბავშვებთან ფსიქოანალიტიკურ მუშაობაში ტრენინგდებოდნენ. მისი ადრეული დეპრივაციისა და ადრეული ტრავმის მიმართ ინტერესმა უზიბგა ჩამოეყალიბებინა განსხვავებული თეორიები, თუ რა ახდენს გავლენას ნორმალურ განვითარებაზე და ფსიქიკურ სტრუქტურალიზაციაზე, ასევე განსხვავებულ ინტერნევიციებზე იმ ბავშვებისთვის, რომელთა გამოცდილებამ ისინი ადრეულ დეპრივაციამდე მიიყვანა.

დონალდ ვინიკოტი, პედიატრი, ბავშვთა და ზრდასრულთა ანალიტიკოსი, პირველი კაცი ბავშვთა ფსიქოანალიტიკოსი, რომელზეც გავლენა მელანი კლაინის იდეებმა მოახდინა.

ის ცნობილია ფსიქოანალიზში, როგორც მისი გამოკვეთილი ინტერესით ბავშვის ადრეული ემოციური სამყაროს მიმართ და მისი ადგილი ადამიანის “სიცოცხლის“ და ნამდვილობის“ განცდის განვითარებაში.

მისი ხედვა კლინიკურ სიტუაციაში თამაშთან დაკავშირებით მელანი კლაინისგან განსხვავებული იყო. ის არ იყო დიდად დაინტერესებული, თუ რას ამბობდა თამაშის შინაარსი ბავშვზე, ან განმარტების გაკეთებით, არამედ დაინტერესებული იყო ბავშვის თამაშის უნარით, და მათი ჩართულობით საკუთარ წარმოსახვით სამყაროში. მან შემოიღო გარდამავალი ობიექტის ცნება.

ჯონ ბოულბი -მან დაგვიტოვა მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა მიჯაჭვულობის თეორიის სახით. მისი მთავარი დაშვებებია

ბავშვის ადრეული მიჯაჭვულობა მზრუნველზე ბიოლოგიურად მნიშვნელოვანია.

მან შემოიღო შინაგანი მუშა მოდელების ცნება, ეს არის შინაგანი მენტალური მოდელები, რომლებიც განსაღვრავს, თუ როგორ ვურთიერთობთ სხვებთან ჩვენი ცხოვრების განმავლობაში.

მან ფსიქოანალიზი განვითარების მეცნიერებებს დაუკავშირა.

მან დიდი გავლენა მოახდინა კლინიკურ პრაქტიკაზე და ზოგადად მშობლობაზე, რადგან ხაზი გაუსვა უსაფრთხო და სტაბილურ ზრუნვას ადრეულ ბავშვობაში.

თამაში ბავშვთა ფსიქოანალიზში

თამაში წარმოადგენს მთავარ ინტრუმენტს ბავშვთა ფსიქოანალიზში, ის ეყრნობა იდეას, რომ თამაში ბავშვის შინაგანი სამყაროს გამოხატვის მთავარი გზაა. , როგორც თავისუფალი ასოციაციები ზრდასრულთა ანალიზში.

რას წარმოადგენს ფსიქოანალიტიკური ხედვით ბავშვის თამაში? ეს არ არის უბრალოდ გართობა, არამედ მშენებლობის მქონე ფსიქოლოგიური აქტივობაა, რომლის მეშვეობითაც

ბავშვი გამოხატავს

-არაცნობიერ სურვილებს

-შიშებს და შფოთვებს

-შინაგან კონფლიქტებს

ურთიერთობის გამოცდილებებს

თამაში როგორც ბავშვის ენა

ბავშვები ხშირად ვერ ახდენენ კომპლექსური ემოციების ვერბალიზებას, ამის სანაცვლოდ ისინი ქმნიან მოთხრობებს სათამაშოებით, გარკვეულ სცენებს იმეორებენ, გარკვეულ როლებს ანაწილებენ, ამ გზით ისინი შინაგან გამოცდილებებს სიმბოლიაციას უკეთებენ.

მაგალითად ბავშვი, რომელიც მუდმივად თამაშობს, რომ ვიღაც უჩინარდება, შესაძლოა დანაკარგის შიშს გამოხატავდეს, ბავშვი, რომელიც მუდმივად ანადგურებს ობიექტებს, შესაძლოა აგრესიას ან შფოთვას ამუშავებდეს.

ფსიქოანალიტიკოსის როლი თამაშში

ფსიქოანალიტიკოსის როლია თამაშს სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭოს, შეამჩნიოს გამეორებები, ყურადღება მიაქციოს ემოციურ ტონს და რეფლექსია მოახდინოს, თუ რას გამოხატავს ბავშვი. მოახდინოს განმარტება

თამაში და ემოციების გამოხატვა

ფსიქოანალიტიკური თამაში ბავშვს შესალებლობას აძლევს ემოციები უსაფრთხოდ გამოხატოს, გარდაქმნას რთული გამოცდილებები სიმბოლური ფორმით, შეძლოს ფიქრი და რეფლექსია იმაზე, რაც ადრე მხოლოდ საქციელით გამოიხატებოდა.

გარდა ამისა თამაში წარმოადგენს გარდამავალ სივრცეს .

სეტინგი, თერაპიული ჩარაჩო

თერაპიული ჩარაჩო ძალიან მნიშვნელოვანია, ის ქმნის დაცულობის გრნობას. იგი უზრუნველყოფს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, ხელს უწყობს თერაპიული ურთიერთობების ფორმირებას, ეხმარება ბავშვს შიშებსა და რთულ გრნობებთან განმკლავებაში.

ფიზიკური სეტინგი

ოთახის მოწყობა,

სათამაშოები,

დროისა და ადგილის სტაბილურობა

თერაპევტის სტაბილურობა

ანალიტიკოსის თვისებები

თავშეკავებულობა-პირდაპირი პასუხებისა და სურვილების დაკმაყოფილებისაგან თავშეკავება

ნეირტალურობა-პაციენტის ფიქრებისა და ქმედების უარყოფითი ან დადებითი შეფასებისგან დაცვა

ანონიმურობა-თერაპევტის პირადი ცხოვებისა და შეხედულებების დაფარვა